კურსდამთავრებულთა უნარ-ჩვევების ანალიზი კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა თვალსაზრისით

(ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მაგალითზე)

ნანა ყაჭაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის *განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

განათლების ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაია ბიწაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

განაცხადი

”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნანა ყაჭაშვილი

10.01.2019

აბსტრაქტი

ოცდამეერთე საუკუნეში გლობალიზაციის გავლენით დასაქმების ბაზარი მუდმივად განიცდის ცვლილებებს, შესაბამისად იცვლება დამსაქმებელთა მოთხოვნები და საჭიროებები. ამ მნიშვნელოვანი გამოწვევის დაძლევის ერთ-ერთი სტრატეგიად შრომის-ბაზრის შესწავლა და მუშაობისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების იდენტიფიცირება მიიჩნევა, რათა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა უკეთ შეძლონ პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება.

წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულთა უნარ-ჩვევების ანალიზი, როგორც კურსდამთავრებულთა, ისე დამსაქმებლების პერსპექტივიდან. კვლევის მიზანია კურსდამთავრებულთათვის სამუშაო პროცესში საჭირო და დეფიციტური უნარ-ჩვევების იდენტიფიცირება. ამასთანავე, შესაძლო აცდენის გამოვლენა კურსდამთავრებულთა უნარ-ჩვევებსა და დამსაქმებლების მოთხოვნებს შორის. კვლევის ერთ-ერთი ამოცანა იყო შეგროვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამისათვის რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის ფარგლებში ჩატარდა 1. სიღრმისეული ინტერვიუები ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებთან, რომლებიც ამჟამადაც დასაქმებულნი არიან განათლების სფეროში. 2. სტრუქტურირებული კითხვარი შეავსეს ინტერვიუში მონაწილე კურსდამთავრებულთა უშუალო ხელმძღვანელებმა. ამგვარად, საშუალება მოგვეცა ერთმანეთს შეგვედარებინა დამსაქმებლებისა და დასაქმებულების პერსპექტივა კურსდამთავრებულთა უნარ ჩვევებთან დაკავშირებით.

კვლევის ერთ-ერთი ძირითადი მიგნება იყო ის, რომ კურსდამთავრებულები განიცდიან როგორც რბილი უნარ-ჩვევების, ისე მყარი უნარ-ჩვევების/ პროფესიული კომპეტენციების დეფიციტს. თუმცა, მუშაობისათვის საჭირო უნარ-ჩვევებზე

საუბრისას კურსდამთავრებულები ყოველთვის საუბარს იწყებდნენ რბილი უნარებით.

კვლევის შედეგები მნიშვნელოვანია სფეროთი დაინტერესებული პროფესიონალებისათვის ამასთანავე,კვლევის შედეგების გათვალისწინებით შესაძლოა განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაში ცვლილებების შეტანა დეფიციტების აღმოსაფხვრელად.

საკვანძო სიტყვები: უნარ-ჩვევების ანალიზი, რბილი უნარები, დარგობრივი ცოდნა, მყარი უნარები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები

Abstract

In the twenty-first century with the impact of globalization the job market is constantly facing the changes. Accordingly, the needs and the demands of employers are also modifying. One of the strategies to tackle this important challenge is to carefully analyze the labor market and identify work required skills in order to make it easier for educational institutions to train professional and competitive staff.

The purpose of the study is to analyze the graduate's skills of the master of Education Administration Program at Ilia State University from both perspectives- from the perspective of the faculty graduates and employers. The purpose of the study is to identify the graduates possible skills gap at the workplace. One of the objectives of the study was to develop recommendations for Education Administration master's program at Ilia State University based on the collected information.

Within the study conducted were used the following research tools:1. In -depth interviews with the Ilia State University Education Administration program graduates who are currently employed in the education field. 2. The structured e-questionnaire was filled out by the direct supervisors of the interviewed graduates, thus allowing us to compare the perspectives of the employers and employees.

One of the main findings of the study was that graduates experience skills gap in soft skills and technical skills. However, graduates while talking about the work required skills they always were naming the soft skills first.

The results of the research can be important for professionals interested in this field. However, based on the research results it is possible to make necessary changes in the Education Administration program in order to improve it.

Key words: skills analysis, soft skills, hard skills, graduates, employers

მადლობა

მინდა მადლობა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, ვინც მცირეოდენი წვლილი მაინც შეიტანა ნაშრომის შექმნასა და დახვეწაში.

უპირველეს ყოვლისა, განსაკუთრებული მადლობა ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს მაია ბიწაძეს, რომელიც მუშაობის პროცესში მუდმივად მეხმარებოდა რჩევებითა და რეკომენდაციებით.

აგრეთვე, ძალიან დიდი მადლობა ყველა იმ რესპონდენტს, რომელმაც დაძაბული რეჟიმის მიუხედავად დრო გამონახა და კვლევაში მონაწილეობის სურვილი და მზაობა გამოთქვა.

ბოლოს კი, მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს მეგობრებს მარიამს, ქეთის და ანას, რომლების ნაშრომზე მუშაობის პროცესში მუდამ მხარს მიჭერდნენ და სჯეროდათ ჩემი.